პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 79 (18321) კვირა, 4 აპრილი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ყურადღება შრომის ბრიგადულ ორგანიზაციას

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმებს. ისინი, აღნიშნა მან, ზრდიან წარმოების ეფექტიანობას და ამავე დროს სავსებით შეესაბამებიან პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე ეტაპზე. ერთიანი განაწესით მომუშავე კომპლექსურ ბრიგადებში მნიშვნელოვნად იზოგება დრო, შრომითი და მატერიალური რესურსები. იქ უფრო მტკიცეა დისციპლინა, მეტია ხელფასი, უფრო მალე ოსტატდებიან ახალგაზრდა მუშები. ცხადია, მეტია შრომის ნაყოფიერებაც.

ბრიგადული იჯარის სიკეთე მშენებლობაში უფრო გამოკვეთილად ჩანს. ვინ არ იცის დღეისათვის ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადის შრომითი მოღვაწეობის ბრწყინვალე შედეგები. ამ კოლექტივის გამოცდილება დღეისათვის ხელმისაწვდომი გახდა იმ ათიათასობით სამშენებლო ორგანიზაციისათვის, რომლებმაც საგრძნობლად უმატეს ტემპს და მკვეთრად გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი. სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის დამლევს საიჯარო ბრიგადებში მშენებელთა შრომის ნაყოფიერება მესამედით მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ დარგში.

დიახ, მშენებლობაში ერთიანი განაწესით მომუშავე კომპლექსურ ბრიგადებში საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს და ამიტომაც უფლება გვაქვს მეტიც მოვთხოვოთ. როგორ მიდის საქმე ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში?

შარშან ბრიგადულმა იჯარამ რესპუბლიკის მშენებლობაში საბინაო და კომუნალური ობიექტების 67,5 პროცენტი, სამრეწველო დანიშნულების ობიექტების 33,6 პროცენტი და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო დანიშნულების ობიექტების 29,1 პროცენტი მოიცვა. საქართველოს სსრ სამშენებლო პროგრამის შესრულებაში შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმაზე მომუშავეთა წილმა 40,3 პროცენტი შეადგინა და წინა წლის დონეზე დარჩა.

ნიკოლოზ ზლობინის მეთოდით მომუშავე კოლექტივებმა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადები 6 პროცენტამდე შეამცირეს. იმასაც დავძენთ, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადასული ბრიგადების ერთი წევრის საშუალო გამომუშავება 29,5 პროცენტით აღემატება მთლიანად მშენებლობაში ერთი მუშის საშუალო გამომუშავებას. თუმცაღა, ისიც ფაქტია, რომ ახლებურად მომუშავე ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, მართალია, შესრულდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით არ გადიდებულა. ეს კი მცდარი დაგეგმვის შედეგია. თუ შრომის ნაყოფიერების — ამ უმნიშვნელოვანესი საწარმოო მაჩვენებლის — ზრდას არ ვითვალისწინებთ, რა აზრი აქვს კომპლექსური ბრიგადების არსებობას?

საქმის ასეთი მსვლელობიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროს, სამშენებლო ტრესტების, სამშენებლო სამმართველოებისა და, ცხადია, თვით სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების ხელმძღვანელებმა.

მუშაობის ბრიგადული ფორმები ბოლო ხანს რესპუბლიკის მრეწველობაშიც შედარებით ინტენსიურად ინერგება, მაგრამ საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ამ მხრივ მაინც საგრძნობლად ჩამოვრჩებით, ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატის ტ. ვ. როსტიაშვილის ინფორმაცია რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმების დანერგვის შესახებ. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმით შრომობს მუშათა 41 პროცენტი, კავშირში კი ეს ციფრი 50-ს ეტოლება. თუმცა, არის ისეთი საწარმოებიც, რომლებმაც გაუსწრეს კიდეც საშუალო საკავშირო დონეს.

მათ შორის ყურადღებას იმსახურებს თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანება. სამეურნეო ანგარიშზე გადასულ ბრიგადათა რიცხვმა აქ 60 პროცენტს მიაღწია. ელმავალმშენებლებმა როგორც რესპუბლიკის, ისევე ქვეყნის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში პირველებმა მისცეს უპირატესობა შრომის ბრიგადულ ფორმას და მთლიანად იგრძნეს მისი სიკეთე, პირველთა შორის პირველი გახლდათ ამ გაერთიანების ელექტრომშტაბელერების კორპუსების ამწყობი ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. გელაშვილი ხელმძღვანელობს. პროდუქციის დამზადების ყველა ტექნოლოგიურმა პროცესმა აქ ერთ უბანზე მოიყარა თავი, შეიქმნა ერთიანი ტექნოლოგიური პროცესი. კორპუსების დამზადების ტექნოლოგიური ციკლის კონცენტრაციის შედეგად პროდუქციის გამოშვება თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე 2,4-ჯერ გაიზარდა, გაორკეცდა შრომის ნაყოფიერება.

სამწუხაროდ, სულ სხვა მდგომარეობაა რესპუბლიკის მეორე მსხვილ საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანაში". შარშან, სექტემბერში, ჩვენმა გაზეთმა მკაცრად გააკრიტიკა ეს გაერთიანება ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი შედეგებისათვის, რომ საწარმოში, სადაც 1300-ზე მეტი კაცი შრომობს, არ შეუქმნიათ არც ერთი კომპლექსური ბრიგადა, ხოლო არსებული ათი სპეციალიზებული ბრიგადა მცირერიცხოვანია. კრიტიკიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოუტანიათ და მის შემდეგ აქ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

1981 წლის შემოდგომაზე საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის სპეციალური სხდომა მიეძღვნა. სხდომაზე ითქვა, ჩვენი რესპუბლიკის, მრეწველობაში მოქმედი ბრიგადებიდან კომპლექსური ბრიგადები 41,5 პროცენტს შეადგენენ. დასანანია, რომ ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმებით მომუშავეთა რიცხვი კვლავინდებურად ძალიან მცირეა რესპუბლიკის მსუბუქი და ელექტროტექნიკური მრეწველობის, საქართველოს ჩაის გაერთიანების საწარმოებში, ქუთაისის რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხანაში, ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენ და რუსთავის ქიმიურ ქარხნებში... ყველას ვერ ჩამოთვლი.

საიჯარო ბრიგადების შექმნას მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ფორმალურად უდგებიან და ეს, პირდაპირ, დანაშაულია. არა აქვთ შრომის ნორმირებისა და მუშებისათვის ხელფასის განაწილებისას მათი ინდივიდუალური წვლილის გათვალისწინების ჩამოყალიბებული სისტემა.

დამტკიცებულია, რომ შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ყველაზე მისაღები ფორმაა ერთიანი განაწესით მომუშავე გამწოლი კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც ხელფასს ანაწილებენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით. შემოწმებამ ცხადყო, რომ ეს ფორმა ძალიან ნელა ინერგება. სამრეწველო საწარმოებში მომუშავე 14 ათასი ბრიგადიდან კომპლექსურია არა უმეტეს 15-20 პროცენტისა, ხოლო შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით ხელფასი უნაწილდება ბრიგადების სულ 10 პროცენტს, ბრიგადათა აბსოლუტური უმეტესობა მცირერიცხოვანია.

მიმდინარე ხუთწლედში მუშაობის ბრიგადული ფორმა ძირითადი უნდა გახდეს. იგი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შემადგენელი ნაწილი და წარმოებაში ეფექტიანობის ამაღლების მთავარი ბერკეტია. ამიტომ ეს საკითხი სამინისტროების, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა ხელმძღვანელების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან ბრიგადული ფორმის დანერგვას მტკიცე კონტროლი დაუწესონ. ინიციატივა კი სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმები თანამედროვე ეტაპზე სავსებით შეესაბამება პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას. ამიტომაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ მიმართულებით მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრიგადული ფორმით მომუშავე კოლექტივები სამაგალითონი უნდა გახდნენ.

შენ, სამშობლოვ, ჩვენი საქმენი და ფიქრები

შთამბეჭდავი და საზეიმო იყო საქართველოს ალკკ XXXII ყრილობის მუშაობის მეორე დღის დაწყება: ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მხურვალედ მისალმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჟუგანოვი და შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს გადასცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელმაც ზედიზედ მეექვსეჯერ დააგვირგვინა მისი წარმატებანი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

შემდეგ განახლდა კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. არაბიძე, ქალაქ თბილისის № 129 საბავშვო ბაღის აღმზრდელი მ. ქობულაძე, შავი ზღვის ფლოტის საშეფო საბრძოლო ხომალდის „საქართველოს კომკავშირელის" დელეგაციის ხელმძღვანელი ა. პლუსოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. შჩერბაკოვი, საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ვ. სისვაძე, ქალაქ სოხუმის მაღაზია „ტალღის" გამყიდველი ი. მოსკალენკო, საქართველოს ალკკ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ი. ნოვრუზოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ჰ. მელაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. მგელაძე, საქართველოს ალკკ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ე. არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნო თბომავალ „ნიკოლოზ ვოზნესენსკის" მეზღვაური ა. მიქელაძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი რ. ბალანჩივაძე, „საქბამშენის" სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მშენებელი ო. დვალიშვილი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი რ. ჩხიკვიშვილი.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის კომკავშირის მორიგ ყრილობებს.

ყრილობის დელეგატები კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა მთამსვლელების ჯგუფის მიერ მათთვის გამოგზავნილ წერილს, რომლებიც ლაშქრავენ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს — ევერესტს.

ყრილობის თითოეულმა დელეგატმა ღია წერილი გაუგზავნა ნატოს შტაბ-ბინას, რომელშიც მრისხანე პროტესტს გამოთქვამს დასავლეთ ევროპაში ამერიკის ფრთოსანი რაკეტების განლაგების გეგმების წინააღმდეგ.

ყრილობამ ერთხმად გადაწყვიტა საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნოს. დამტკიცდა რესპუბლიკის კომკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

აირჩიეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატები.

უდიდესი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალით მიიღეს ყრილობის დელეგატებმა წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს დედაქალაქის ნორჩი ლენინელები.

საქართველოს ალკკ XXXII ყრილობა დახურულად ცხადდება.

დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ახალგაზრდობის ბელადისა და დამრიგებლის, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის პატივსაცემად.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით იმღერეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი". (საქინფორმი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა რესპუბლიკის კომკავშირის XXXII ყრილობაზე არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი. იგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ი. ნ. ორჯონიკიძე, მეორე მდივნად — ი. ი. ხუციშვილი, მდივნებად—ვ. გ. ლორთქიფანიძე, მ. ი. ხაჩიძე, ა. ი. შჩერბაკოვი.

პლენუმმა აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში არიან ი. ნ. ორჯონიკიძე, ი. ი. ხუციშვილი, ვ. გ. ლორთქიფანიძე, მ. ი. ხაჩიძე, ა. ი. შჩერბაკოვი, თ. ე. აბულაძე, გ. პ. მახარაძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ბ. ი. ბოკუჩავა, ჰ. ვ. მელაძე, დ. ა. პერტენავა, რ. გ. ბალანჩივაძე, ვ. გ. ანასტასიადი, ვ. ს. სარაჟინი, ს. ვ. ბალაფში, რ. ქ. ბერიძე, ა. ვ. ზითიევი, ი. მ. ხატიაშვილი, ნ. ვ. მუმლაური.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგედ დაამტკიცა გ. პ. მახარაძე, პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ — რ. მ. ლომინაძე, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ — ნ. ქ. გიორგაძე, სპორტული და თავდაცვითმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ — ლ. ძ. თედიაშვილი, სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ — მ. ჯ. ლომიძე, მეცნიერ ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების გამგედ — ზ. ნ. სოკოლოვი, მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილების გამგედ — გ. ქ. ბუკია, საერთო განყოფილების გამგედ — ქ. ქ. შავიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად — გ. ა. გოლიაძე.

პლენუმმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად დაამტკიცა რ. გ. ბალანჩივაძე, გაზეთ „მოლოდოი გრუზიის" რედაქტორად — ვ. გ. ანასტასიადი, გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორად — ი. ნ. ცერცვაძე, ჟურნალ „პიონერის" რედაქტორად — ზ. ა. შელია, ჟურნალ „დილის" რედაქტორად — მ. ი. მაჭავარიანი, ჟურნალ „ციცრის" რედაქტორად — მ. თ. ფოცხიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვ. ჟუგანოვი.

* * *

საქართველოს ალკკ ახლად არჩეულმა სარევიზიო კომისიამ თავის თავმჯდომარედ აირჩია ზ. ი. ზურაბიშვილი. (საქინფორმი).

აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება!

● მახარაძელმა მეჩაიეებმა და ჩაის ფაბრიკის მუშაკებმა გადაწყვიტეს ჩაის ხარისხის ამაღლების მიზნით ერთმანეთი შეამოწმონ; ● კოლმეურნეობის კონტროლის ჯგუფის წევრები ფაბრიკაში შეამოწმებენ, თუ როგორ ამუშავებენ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს. ● ფაბრიკის კონტროლის ჯგუფის წევრები კი პლანტაციაში შეამოწმებენ ნედლეულის ხარისხს, ფაბრიკაში მისი გადაზიდვის მიმდინარეობას.

ენდე, მაგრამ შეამოწმე!

სახელგანთქმულმა ვეტერანმა მეჩაიემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ პატრიოტული წერილით მიმართა რესპუბლიკის მეჩაიეებს: მიმდინარე წელს აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება, მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. ამისათვის საჭიროა ფაბრიკას მაღალხარისხოვანი ნედლეული ჩავაბაროთ. ეს რომ გავაკეთოთ, მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის წესები და ვადები მტკიცედ უნდა დავიცვათ. თითოეული მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკის საპატივალია ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ რაღაც არ უნდა დაუჯდეთ ამაღლონ ქართული ჩაის ხარისხი.

ზოგ-ზოგები ფიქრობენ, სახელგანთქმულმა მეჩაიემ თ. ყუფუნიამ ჩვენი ჩაის ხარისხის ასამაღლებლად და ძველი დიდების დასაბრუნებლად რესპუბლიკის მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს მოწოდებით რომ მიმართა, ეს ლიტონ სიტყვებად დარჩება. ზოგს კი ეს მოვალეობის მოხდა ჰგონია.

ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთმანეთის საქმიანობა შევამოწმოთ. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ მეჩაიე ჩაის მრეწველობის მუშაკს არ ენდობა, ანდა პირიქით. არა. ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. კარგად არის ნათქვამი: ენდე, მაგრამ შეამოწმე. ჩვენც ერთმანეთის ნახელავს გულმართლად და გულდასმით შევამოწმებთ, რომ ჩვენი სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

აი, დადგა გაზაფხული. სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის პლანტაციებში ზამთრისა და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შესრულდა. მწკრივთაშორის შევიტანეთ სასუქი, მიწა დავბარეთ, ბუჩქები გავსხლეთ. სულ მალე დაიწყება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. წელს მოვკრეფთ 8.925 ტონა ფოთოლს. მოკრეფილი ნედლეულიდან 72 პროცენტი პირველი ხარისხისა იქნება.

ფოთოლს აგროწესების დაცვით მოვკრეფთ და მაშინვე გადავზიდავთ ჩაის ფაბრიკაში.

ქალაქ მახარაძის პირველი ჩაის ფაბრიკის კოლექტივი 8.000 ტონაზე მეტ ნედლეულს მიიღებს და გადაამუშავებს. ნედლეულს ტექნოლოგიური წესების ზუსტად დაცვით გადავამუშავებთ და 2.100 ტონა საუკეთესო ხარისხის ჩაის მივაწვდით მომხმარებელს.

მეჩაიეებო და ჩაის მრეწველობის მუშაკებო! მოდით მთელი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის. კონტროლის ჯგუფის აქტიური მონაწილეობით სისტემატურად შევამოწმოთ ნედლეულის კრეფა და გადამუშავება. ეს საშუალებას მოგვცემს არ დავუშვათ ხარისხის გაუარესება. მაშ ასე: დღის წესრიგშია მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის ბრძოლა!

გ. ცერცვაძე — სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, **გ. უგრეხელიძე** — სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, **თ. თავდიშვილი** — მახარაძის პირველი ჩაის ფაბრიკის დირექტორი, **გ. მამაკაშვილი** — ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი.

მიფრინავს „კოსმოს-1347"

1982 წლის 2 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1347". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **გურამ დავითის ძე მგელაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 აპრილი.

4 აპრილი გეოლოგის დღეა

გაზაფხული ველად უხმობთ

გეოლოგი — ვაჟკაცობის, სულის სიმტკიცის, გამბედაობის, პროფესიის უბადლო სიყვარულის სინონიმია. ამის შესახებ ათასჯერ თქმულა და ათიათასჯერ დაწერილა. შრომისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ და თავდადებამ ჩვენი ქვეყნის გეოლოგს დიდი აღიარება მოუტანა.

მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგებმაც. სახელმწიფოს დავალებები მათ ყველა მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და ქვეყნის გეოლოგთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიმკვიდრეს.

შესანიშნავად დაიწყეს რომანტიკული პროფესიის ადამიანებმა მიმდინარე ხუთწლედიც. შარშანდელი მუშაობის შედეგები მოწმობს, რომ გეოლოგები კვლავინდებურად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

ამოცანები კი მეტად სერიოზულია: უნდა შევინარჩუნოთ ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების დონე და ავითვისოთ ყვირილის დეპრესიის ახალი ფენები. შავი მეტალურგიის წარმოების მოცულობა მეთერთმეტე ხუთწლედში 22 პროცენტით უნდა გაიზარდოს და ამაში დიდი როლი მანგანუმის მოპოვების შემდგომმა გადიდებამაც უნდა შეასრულოს.

განზრახულია კვაისის ტყვიათუთიის მადნის, სპილენძის მოპოვების გადიდების ბაზაზე გადამამუშავებელ საწარმოთა პროდუქციის მოცულობის ზრდა. დაგეგმილია ბარიტისა და კალციტის საბადოების სამუშაოების ტემპის დაჩქარება. პირველი მათგანი ძალიან სჭირდება „ქუთაისბარიტის" მარტოთხსამშრომელს და სხვა საწარმოებს. ნავარაუდევია განხორციელდეს აგრეთვე თერმული წყლების გამოვლენებასთან დაკავშირებული სამუშაოები და მრავალი სხვა. ყველაფერს ვერც ჩამოთვლი.

მოწინავეთა შორის დაგვისახელეს მცირე კავკასიონის კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც ბოლნისში დაუდევს ბინა და რომელსაც გამოცდილი წიაღის მესაიდუმლე მიხეილ ჯოხონელიძე ხელმძღვანელობს. ჩვენც სწორედ ამ კოლექტივს ვეწვიეთ. ლურჯ აპრილს, აფეთქებულ გაზაფხულს გეოლოგები უკვე გაეხმო მთებსა თუ ველ-მინდვრებში საძიებლად სიმდიდრისა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდება ჩვენი სახალხო მეურნეობა.

ექსპედიციის მონაწილე 800 კაციდან ყველანი ერთნაირი შემართებითა და თავდადებით შრომობენ. ასე რომ არ იყოს, როგორია მიაღწევდნენ შედეგებს, რომლებისთვისაც მათ უმეტესობას სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ჯილდოები დაუმსახურებია. ხუმრობა ხომ არ არის, გეოლოგებს შარშანდელი ბურღვისა და სამთო სამუშაოები დიდი გადაჭარბებით შეუსრულებიათ, შრომის ნაყოფიერება 110 პროცენტით, ხოლო მოგების გეგმა 127 პროცენტით გაუზრდიათ. შარშან მათ აღმოუჩენიათ და საექსპლოატაციოდ მოუმზადებიათ მადნეულის სპილენძ-პოლიმეტალების ბოლნისის და ბაზალის ტუფის, მადნეულის საშენი მასალების საბადოები. რაც შეეხება წლევანდელ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ისინი კიდევ უფრო დამაჯერებელია.

მცირე კავკასიონის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიცია ქვემო ქართლისა და ჯავახეთის ტერიტორიის 15 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე ეძებს წიაღისეულს. ამ რეგიონის „გეოლოგიურ ცხოვრებას" და ექსპლოატაციას დიდი ხნის ისტორია ჰქონია: ჩვენი წინაპრები თურმე აქ უხსოვარი დროიდან რკინას, სპილენძს, ოქროს, საშენ მასალებს ეძებდნენ და ნახულობდნენ კიდეც.

სამხრეთ საქართველოს მრავალფეროვანი, მდიდარი წიაღისეული ნედლეულის გეგმაზომიერი შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო, შესრულდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, რის შედეგად აღმოჩნდა მრავალი ახალი საბადო. მათგან აღსანიშნავია მადნეულის სპილენძ-პოლიმეტალების, ფახრალოს ზოლიანი ტუფების, ალგეთისა და სადახლოს კირქვების, ფარავნის პერლიტების, ახალციხის აქატის, ქისათიბის დიატომიტის საბადოები. ამ წიაღისეულის ბაზაზე სამხრეთ საქართველოს 12 ადმინისტრაციულ რაიონში ფუნქციონირებს თანამედროვე სამთომომპოვებელი წარმოება.

დღეისათვის მწყობრშია მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატი, ახალციხის აქატის, ფახრალოს მოსაპირკეთებელი ტუფის, სადახლოს ფლუსების, ალგეთის კირქვის კარიერები, ქისათიბის დიატომიტის მაღარო და მრავალი ადგილობრივი მნიშვნელობის კარიერი.

მცირე კავკასიონის კომპლექსურ გეოლოგიურ ექსპედიციაში ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივად ითვლება ხრამის გეოლოგიური პარტია, რომლის უფროსია თავისი საქმის კარგი მცოდნე გერონტი ტვილდიანი. ამ კაცის ენთუზიაზმსა და კაცურკაცობაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ სწორედ მისი ინიციატივით და ექსპედიციის უფროსის — მიხეილ ჯოხონელიძის ხელშეწყობით შარშან მცირე დროში, გეოლოგების სახსრებითა და მუშახელით მდინარე ხრამზე აიგო 36-მეტრიანი ხიდი, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა თეთრი წყაროსა და ბოლნისის რაიონები. ადგილობრივ მკვიდრთა მადლიერებასთან ერთად ხიდმა გეოლოგებისათვის ბევრი რთული საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

წითელსოფელში ვესტუმრეთ გეოლოგებს, დაგვიხვდნენ გეოლოგიური პარტიის მთავარი ინჟინერი რამაზ ჩიქოვანი, მთავარი გეოლოგი ანზორ ჭეხანი და მერაბ ხართიშვილი. სამუშაო ობიექტებზე სწორედ მაშინ მივედით, როცა საბურღი სამუშაოებს ახალგაზრდა ინჟინერ როლანდ ყავრელაშვილის ბრიგადა აწარმოებდა. მან გაგვაცნო ბრიგადის წევრები — ბურღვის ოსტატი ვალერი ბარტყრელაშვილი, ბურღვის ოსტატის თანაშემწეები ნუგზარ მაისურაძე და მერაბ რურუა. ეს ახალგაზრდები გულმოდგინედ შრომობენ და ყოველდღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. ეს ბრიგადა ექსპედიციაში გამორჩეულია. იგი შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და საპრიზო ადგილი მოიპოვა. ბრიგადა პერსპექტიულ უბანზე შრომობს, ეძებს სპილენძს და ნორმით გათვალისწინებულზე 80 მეტრით მეტ სიღრმეზე ბურღავს ნიადაგს. ამ კოლექტივში შრომის ანაზღაურება ბრიგადული მეთოდით ხდება. სიახლემ გაზარდა მუშათა დაინტერესება, იზოგება დიდძალი ელექტროენერგია, საწვავ-საპოხი და სხვა მასალები.

— ჩვენს ახალგაზრდებს მოსწონთ თავიანთი საქმე, გვეუბნება მერაბ რურუა. ჩემს მოწყობილებას მეც მივაგენი, ვშრომობთ და ანაზღაურებაც კარგი გვაქვს. თავისუფალ დროს ვმეცადინეობ, აუცილებლად სწავლული გეოლოგი უნდა გავხდე.

... ბოლნისელ გეოლოგებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური შრომისა და ცხოვრებისათვის. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ექსპედიციის ხელმძღვანელობა. როგორც მთავარმა გეოლოგმა ავთანდილ სუხიშვილმა შეგვატყობინა, ამ დღეებში 67 თანამშრომელს ახალი კეთილმოწყობილი ბინა მიეცა. უფრო ადრე კი აქ საექსპლოატაციოდ გადაეციათ ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და 76 კაცისთვის გათვალისწინებული საერთო საცხოვრებელი...

ვინც ახლოს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ გეოლოგთა ცხოვრება ბოლნისში სულ უფრო სისხლსავსე და საინტერესო ხდება.

ლ. ქინქლაძე.

● ●

სურათებზე: ხრამის გეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატის თანაშემწე ვ. ბარტყრელაშვილი; მარცხნიდან — ბრიგადირი რ. ყავრელაშვილი, ბურღვის ოსტატის თანაშემწე მ. რურუა, ხრამის გეოლოგიური პარტიის მთავარი ინჟინერი რ. ჩიქოვანი და მბურღავი ნ. მაისურაძე.

ხ. კილაძის ფოტო.

ყველა ბრიგადას და ფერმას უნდა ჰქონდეს ბოსტანი და ბაღჩა!

● ●

ყურადღება — ახალ თაოსნობას!

აგროსამრეწველო კომპლექსში ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი ერთეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა. სწორედ აქ აწარმოებენ დიდი რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ისიც კარგად ვიცით, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა დასაყრდენი ბრიგადა და ფერმაა. IV პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „ყოველ სოფელს, ყოველ ეზო-კარს, ხაზს ვუსვამ — ყოველ ეზო-კარს, ყოველ კომლს უნდა ჰქონდეს თავისი სასურსათო პროგრამა". ეს ჩვენ ბევრს გვავალებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით და სასურსათო პროგრამის განხორციელებაში საპატიო წვლილის შეტანის და მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით **გადავწყვიტეთ, რომ ყოველ ბრიგადასა და ფერმაში, იქ, სადაც დასახლებული სახლები სოფლიდან შორს არის, ერთ-ორ ჰექტარზე, ზოგან ნახევარ ჰექტარზე მოვაწყო ბოსტანი და ბაღჩა. ამ პატარა ბაღჩა-ბოსტნებში მოწეული ახალი პროდუქტებით იკვებებიან ბრიგადასა და ფერმაში მომუშავე მშრომელები. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მათ საკმაოდ აქვთ პამიდორი, კიტრი, მწვანილები, საზამთრო თუ ნესვი.**

წლეულს ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, უფრო მეტი სახეობის ბოსტნეულს მოვიწევთ იმ ვარაუდით, რომ **ბრიგადების ბაღჩა-ბოსტნებში მოწეული პროდუქტებით სოფლის სხვა მშრომელებსაც გავუმასპინძლდეთ. გარდა ამისა, გადავწყვიტეთ ახლო მომავალში ბოსტნეულ-ბაღჩეული მივყიდოთ ქალაქების სიღნაღისა და წნორის მშრომელებს.**

ყოველივე ამის გაკეთება ყოველ ბრიგადასა და ფერმაში შეიძლება, თუ მოვინდომებთ. მატერიალური და მორალური სარგებლობა ნამდვილად დიდი იქნება. მიკრობაღჩა-ბოსტნების მოსაწყობად აქედანვე, გაზაფხულის ამ დღეებიდანვე უნდა ვიზრუნოთ. იმედი გვაქვს, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოგვბაძავს და ამით საპატიო წვლილს შევიტანთ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

ნუ დავიზარებთ, მოდით შევეჯიბროთ, მეგობრებო, ერთმანეთს პატარა ბაღჩა-ბოსტნების მოწყობაში!

გ. გელაშვილი — სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ბოქოლაშვილი** — მემცენარეობის განყოფილების გამგე, **ს. ზურაბაშვილი** — მეხეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

დრო ასახელებს მისამართებს მიღწევათა

საქართველოს ალკკ XXXII ყრილობა

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია თავის დროშაზე აკიაფებული ლენინის ორდენით შეხვდა მორიგ ყრილობას. საანგარიშო პერიოდი, ისევე როგორც მთელი მეათე ხუთწლედი, როგორც წითელდროშოვანი, ისე შევა საქართველოს კომკავშირის მატიანეში — რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მარტო გამარჯვებებს კი არა, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე დასახულ მრავალფეროვან და მასშტაბურ ამოცანებსაც ეხებოდა ყრილობაზე გამართული საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. ორჯონიკიძის მოხსენებაში, დელეგატების გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის საქმიანობის მაღალი შეფასება, პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ყურადღება და ზრუნვა ჩვენი რესპუბლიკისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ბევრს ავალებს ახალგაზრდობას, რომლის მრწამსი და ზნეობა უკანასკნელ ათწლეულში ჩამოყალიბდა.

ავტორიტეტი საქმით განვამტკიცოთ

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა—ეს ძირითადად ნიშნავს ჩავუნერგოთ მას კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე. რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშის სოციალურ პორტრეტს დღეს უნდა ახასიათებდეს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ერთიანობა, იმის შეგნება, რომ კეთილსინდისიერი, მაღალნაყოფიერი შრომა უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ვალია. სკკპ XXVI ყრილობის განაწესი — მივაღწიოთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას — დღის წესრიგში აყენებს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ახალგაზრდობის კონკრეტული წვლილის ზრდის, ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში კომკავშირის როლის გაძლიერების პრობლემებს.

ყოველწლიურად რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მოქმედ და განვითარებად ობიექტებზე გათვალისწინებულია კომკავშირული საგზურით გაიგზავნოს დაახლოებით 30 ათასი ახალგაზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობის ხვედრითი წონა გავზარდოთ სულ ცოტა ხუთი პროცენტით. საქართველოს კომკავშირის განსაკუთრებული ზრუნვის მისამართები უნდა გახდეს სასოფლო და სამელიორაციო მშენებლობა, ტრანსპორტი, სამთო, ნავთობგადამამუშავებელი, გაზის, ელექტროტექნიკური მრეწველობა.

დარგობრივი კუთვნილების მიხედვით მუშა ახალგაზრდობასთან მუშაობის ეფექტიანობაში გვარწმუნებს ახალგაზრდა მეტალურგების, მშენებლების, მეშახტეების შარშანდელი რესპუბლიკური შეკრებები, ამ შეკრებებზე გამართული ღრმა პროფესიული სჯა-ბაასი, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის კონკრეტულ დარგებში დასაქმებული ახალგაზრდობის პრობლემებს.

მიმდინარე ხუთწლედში ახალგაზრდობის ძალების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი უბანი კვლავ კაპიტალური მშენებლობაა. საანგარიშო პერიოდში აქ მომუშავეთა რიცხვის საერთო ზრდამ 13 პროცენტი შეადგინა, ხოლო კომკავშირელების რიცხვი გაიზარდა 70 პროცენტით, 7,5-ჯერ მეტი გახდა ბრიგადული იჯარის მეთოდით მომუშავე კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების რაოდენობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა „საქზამშენის" კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივა დაიწყო ჩიტის ოლქში სოფელ იკაბიაში ახალი დაბის მშენებლობა ნია-გრუზინსკაიას მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისადმი საქართველოს კომკავშირის შეფობა სულ უფრო მიზანმიმართულ ხასიათს იძენს. რესპუბლიკის კომკავშირის წარგზავნილები შრომობენ 16 სრულიად საკავშირო და 15 რესპუბლიკურ დამკვრელურ ობიექტზე. ოთხი წლის მანძილზე კომკავშირული საგზურებით ამ მშენებლობებზე გაიგზავნა დაახლოებით 10 ათასი ახალგაზრდა მშენებელი.

საქართველოს კომკავშირის ისტორიაში ნათელი ფურცელი იქნება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორედ დაბადება. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება: საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში ამ უმნიშვნელოვანეს ობიექტზე ჩამოვიდა პარტიის ყრილობის სახელობის კომკავშირული რაზმი. ხუთწლედის დამლევამდე მშენებლობაზე ყოველწლიურად გაიგზავნება დაახლოებით 300 მოხალისე.

ყრილობის ტრიბუნიდან სამართლიანი საყვედური გაისმა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ხელმძღვანელთა მისამართით, რომლებმაც დღემდე ვერ უზრუნველყვეს ქუთაისში ახალგაზრდა მშენებლები სამუშაოთა მუდმივი ფრონტითა და ნორმალური შრომის პირობებით. ამის გამო დაიშალა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური სამშენებლო რაზმი — რესპუბლიკაში ერთადერთი მუდმივმოქმედი რაზმი.

ანალოგიურ პრობლემებს აწყდებიან მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლები. ერთი მხრივ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის" ტრესტის ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს მშენებლობის ახალგაზრდული კოლექტივის მაღალი პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისათვის. მეორე მხრივ, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, წალკის რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მაგისტრალის მშენებლობის პრობლემებს ჩამოშორებული აღმოჩნდნენ, თუმცა ძირითადად იგი ამ რაიონების ტერიტორიებზე გადის.

გამოიკვეთა კომკავშირის როლი სახალხო მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგში, როგორიცაა ტრანსპორტი. ეს შესაძლებელი გახდა კომკავშირის საკავშირო სატრანსპორტო კომიტეტების შექმნის მეშვეობით. ახლა, როგორც ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, საჭიროა შევუდგეთ სპეციალური კომკავშირული მარშრუტების, ეკიპაჟების შექმნას, აქტიურად დავნერგოთ ამ დარგში მუშაობის პროგრესული ფორმები.

ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს კომკავშირული ორგანიზაციების მთავარ ამოცანად დელეგატებმა დასახეს მომსახურების კულტურის ამაღლებაზე კომკავშირული ზეგავლენის გაძლიერება. ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში შექმნილი ვაჭრობის 500 ახალი ობიექტიდან კომკავშირულ-ახალგაზრდული გახდა მხოლოდ ყოველი მეოცე, ნათლად მოწმობს: დევიზი „ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს — კომკავშირული ზრუნვა!" არათანამიმდევრულად, სერიოზული ნაკლოვანებებით ხორციელდება.

„ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს" — პარტიის ეს მოთხოვნა განსაკუთრებული ძალით გაისმა კომკავშირულ ყრილობაზე. მთელი პრინციპულობით გააკრიტიკეს უყაირათო დამოკიდებულება მატერიალური რესურსებისადმი. მოყვანილი იყო ასეთი ფაქტი: გასულ ხუთწლედში ეს უყაირათობა სახელმწიფოს დაუჯდა 900 მილიონი მანეთი — ამ თანხის პროდუქცია დააკლდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ახალ მოთხოვნებს უყენებს ახალგაზრდა კადრების რაციონალურ გამოყენებას, მათ მომზადებას მაღალნაყოფიერი შრომისათვის. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნეს დელეგატებმა, იზრდება საწარმოებში ახალგაზრდობის ადაპტაციის, დამკვიდრების, მისი კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობა.

მეათე ხუთწლედში კვალიფიკაცია აიმაღლა ახალგაზრდა მუშაკთა მხოლოდ 6,7 პროცენტმა, რაც ერთიორად ნაკლებია საერთო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. ძირითადად ეს ფაქტორი განაპირობებს საშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების სისტემაში კადრების დენადობის მაღალ დონეს.

კომკავშირის ყრილობამ გულდასმით იმსჯელა სოფლის ახალგაზრდობის პრობლემებზე. აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება, მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც ახლა ხორციელდება რესპუბლიკაში, საქართველოს კომკავშირს უსახავენ ამოცანას, რომ მკაფიოდ განსაზღვროს თავისი როლი სოფლად მეურნეობრიობის ახალ პირობებში, კერძოდ, შექმნას რაიონულ კომპლექსებში შემავალი კომკავშირული ორგანიზაციათა მდივნების საბჭოები. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ასეთივე რესპუბლიკური საბჭო საშუალებას მოგვცემს ვამაღლოთ ამ ფორმირებათა ავტორიტეტი რესპუბლიკური მასშტაბით.

ამასთან დაკავშირებით სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღიძრა საკითხი, რომ ექსპერიმენტის წესით სოფლის მეურნეობის გაერთიანებებთან შეიქმნას ერთიანი კომკავშირული ორგანიზაციები რაიკომის უფლებებით. ისინი შეძლებენ უფრო სრულად შეუწყონ ხელი რესპუბლიკის ახალგაზრდობის შემდგომ აქტივიზაციას სასურსათო პროგრამის ჩამოყალიბებაში.

ყრილობას მოხსენდა, რომ კოოპერირების მეთოდების მეოხებით ახალგაზრდობამ დაამზადა ხუთიათას ტონაზე მეტი ხორცი, მილიონ ტონაზე მეტი საკვები. დაირგო მილიონზე მეტი ვაზის კალამი, 340 ათასი ხე-ხილის ნერგი, ათვისებულია 1800 ჰექტარი მანამდე გამოუყენებელი მიწა. ყრილობამ დასახა რეკომენდაცია, რომ განზოგადდეს აბაშის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის გამოცდილება. ამ მეურნეობის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა კარმიდამოებში მოაწყვეს უმარტივესი ბაგები, გასასუქებლად აიყვანეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

მყარი საკვები ბაზა კარგ პერსპექტივებს უსახავს მაღალმთიან რაიონებს, ეს საქმე ხელსაყრელია ბოლო ხანს აღორძინებული სოფლებისთვისაც. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ რესპუბლიკის კომკავშირის დამკვრელურ უბნად გამოაცხადა უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის აღდგენა და აღორძინება.

პარტიის განაწესი ყოველი ჰექტარი მიწის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე მთელი სიმწვავით აყენებს კომკავშირის წინაშე მრავალწლოვანი ნარგავების სიმეჩხრის ლიკვიდაციის ამოცანასაც. ეს ახალი პრობლემა როდია. იგი რამდენიმე კომკავშირული ყრილობის დღის წესრიგში იდგა, მაგრამ კვლავაც აქტუალური რჩება, ვინაიდან განვლილ ხუთწლედში რესპუბლიკამ სიმეჩხრის გამო დააკლდა 500 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და 250 ათასი ტონა ხილი, 60 ათას ტონამდე ციტრუსი. ყრილობაზე, კერძოდ, დაასახელეს წყალტუბოს ზონა, ქარელის, თეთრი წყაროს, მცხეთის რაიონები, სადაც ვენახების სიმეჩხრე 25-30 პროცენტს აღწევს.

სოფლის ახალგაზრდობის წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები ამოცანები წინა პლანზე სწევენ საშუალო რგოლის კადრების მომზადების პრობლემას. მიმდინარე წლის თებერვალში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა და პირველი მეცადინეობები ჩაატარა ახალგაზრდა მევენახეთა რესპუბლიკურმა სკოლამ, სადაც მომავალში საშუალო რგოლის ასობით ახალგაზრდა ხელმძღვანელი ისწავლის. ამ სკოლის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ საჭიროა მერგოლეურებისა და ბრიგადირების სისტემატური სწავლება. ამ საქმის ორგანიზატორები კომკავშირის სასოფლო რაიკომები უნდა გახდნენ.

ყრილობის დელეგატთა სამუშაო ჯგუფების წინადადებიდან:

შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რათა ფართოდ გავრცელდეს ახალგაზრდობაში სოციალისტური შეჯიბრება დევიზით — „ყოველი საწარმო — საუკეთესოთა შორის დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში";

შემუშავდეს ეკონომიკის ხელმძღვანელობაში კომკავშირულ მუშაკთა კომპეტენტურობის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური სემინარის პროგრამა;

ჩამოყალიბდეს ახალგაზრდა მეცხოველეთა რესპუბლიკური სკოლა;

შეიქმნას კოოპერაციულ საწყისებზე პირუტყვის გასუქების ახალგაზრდული ამხანაგობანი;

ეთხოვოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსასოფლტექნიკას" დამატებითი სახსრების გამოყოფა მაღალმთიან რაიონებში მცირე მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

არ გამოგვრჩეს არავინ

დღეს, როცა დღის წესრიგში დგას მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და დაკისრებული საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების ამოცანა, ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პოლიტიკურად აქტიური ადამიანების აღზრდის პრობლემებზე და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა პრაქტიკულ საქმეებთან მჭიდრო ერთიანობით.

განვლილ პერიოდში გარკვეული გამოცდილება არის შეძენილი კომკავშირელებისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩანერგვაში. მისმა დევიზმა — „თითოეულისაგან — პერსონალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი! თითოეულს — კომკავშირული ზრუნვისა და ყურადღების მაქსიმუმი!" —, ასახა მისი არსი. ასრულებდნენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს ახალგაზრდობის შეგნებაზე ზეგავლენის გაძლიერებას, მოძებნეს თითოეული ახალგაზრდა კაცის გულისაკენ მიმავალი გზა.

დღეს რესპუბლიკაში წარმოებს ახალგაზრდობის საყოველთაო პოლიტიკური სწავლება. ყოველწლიურად 250 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი ებმება პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში, რაც მომუშავე ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას შეადგენს.

პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას სულ უფრო აქტიურად იყენებენ სწავლის დროს მიღებულ თეორიულ ცოდნას. პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის წრეებისა და სემინარების მსმენელებმა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე შეიმუშავეს 970 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვით დაზოგილია ექვსი მილიონი მანეთი.

იდეოლოგიური მუშაობა ადამიანთმცოდნეობის სფეროა. მისი ეფექტიანობა ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა შეგნებაში, მათი ზნეობრივი პოზიციითა და ღირებულებითი ორიენტაციით.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თავის „მოგონებებში" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღმზრდელობით მუშაობაში „მთავარი იარაღი სიმართლეა, წარმატებებზეც და ხარვეზებზეც პატიოსნად უნდა ვილაპარაკოთ. ადამიანები ყოველთვის გაიგებენ წრფელ საუბარს".

დიახ, ამბობდნენ დელეგატები, ახალგაზრდობას წრფელად უნდა ვესაუბროთ, რადგან იგი ფსიქოლოგიურად და სოციალურად მზად არის სერიოზული საუბრისათვის. ახალგაზრდობის სიმწიფე უწინარეს ყოვლისა ზნეობრივი და არა ასაკობრივი ცნებაა და მას განსაზღვრავს ადამიანის ყოფაქცევა, მოქმედება, საქმე.

სწორედ ამიტომ ყრილობამ მოითხოვა, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობა, მათი პროპაგანდისტული ზეგავლენის მთელი არსენალი მიზნად ისახავდეს თითოეულ კომკავშირელთან, თითოეულ ქალიშვილთან და ჭაბუკთან კონკრეტულ და, რაც ყველაზე მთავარია, მაღალკომპეტენტურ მუშაობას.

მაგრამ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სისტემაში ჯერ კიდევ ყველგან ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ მოძველებული სტერეოტიპები, ერთფეროვნება მუშაობაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ზეპირ პოლიტიკურ აგიტაციას. მისი ორგანიზატორები ადგილებზე ხშირად ერთი შაბლონით ატარებენ ლექციასაც, საუბარსაც და პოლიტინფორმაციასაც. ასეთი ფორმალიზმი მუშაობაში ახასიათებს, კერძოდ, რუსთავის საქალაქო, ლანჩხუთის, წითელწყაროს, საგარეჯოს, საჩხერის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ საქმიანობას.

იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებათა შესახებ სჯა-ბაასმა წინა პლანზე დააყენა თვალსაჩინო აგიტაციის, მისადმი დამოკიდებულების საკითხები. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს ამ საქმეში არა აქვთ გამომუშავებული რაიმე სერიოზული სისტემა. სწორედ, ეს იწვევს პროვინციალიზმს, პრიმიტიულობას მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე წამოაყენეს საკოორდინაციო ცენტრის შექმნის საკითხი, რომელიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გაუძღვება ამ საქმეს.

კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული აღმზრდელობითი მუშაობა ხშირად ეფექტიანი არ არის, რადგან პროპაგანდის მიმართულებანი ზუსტად არა აქვთ განსაზღვრული, ფორმის უმეტესობა კი მასობრივია, მაშინ, როცა „ჩაბმის" ცნება დღეს უკვე არ განსაზღვრავს აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობას. მთავარი ამოცანაა არ გამოგვრჩეს არავინ.

ინდივიდუალური მეთოდების გამოყენება ახალი საქმე როდია იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკაში. საკმარისია დავასახელოთ ლენინური ჩათვლები, მათი ფართო აღმზრდელობითი სპექტრი. მაგრამ, როცა მუშაობა არაკონკრეტულად, უმისამართოდ წარმოებს, მისი შედეგიანობა მინიმალურია.

პრინციპი „არ გამოგვრჩეს არავინ" დღეს აქტუალურად ჟღერს იმიტომაც, რომ ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მისი განათლების საერთო დონეს. სწორედ ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ არსებობს ნიადაგი ნეგატიური მოვლენებისათვის, საბჭოური ცხოვრების წესის ანომალიებისათვის. ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, კომკავშირის ცენტრალური ამოცანა — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა — თვისებრივად ახალ მნიშვნელობას იძენს.

ახალგაზრდა თაობის სოციალური აქტიურობის, გონივრული მოთხოვნილებების და ინტერესების, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია პიროვნების, კოლექტივისა და საზოგადოების ერთობლივი ზეგავლენის გარეშე. პიროვნება და კოლექტივი, პიროვნება და საზოგადოება — მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მასობრივ ძალას კომკავშირული ორგანიზაციები უნდა იყენებდნენ მთავარ იარაღად ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ამ მოთხოვნის უგულებელყოფა იწვევს ჩვენი ცხოვრებისათვის ისეთ უცხო და მიუღებელ მოვლენებს, როგორიც არის ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, ეგოიზმი, თავაშვებულობა და, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, ახალგაზრდობისა და მოზარდების დამნაშავეობა.

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების შემცირების ტენდენციით, მაგრამ სანამ ისინი ჯერ კიდევ ხდება, გულს ვერ დავიმშვიდებთ. თითოეულის ვალია, ითქვა ყრილობაზე, არ დაუშვას, რომ დამნაშავე ელემენტებმა თავიანთი ზეგავლენით ჩამოაშორონ მოზარდები ოჯახს, სკოლას, კოლექტივს, საზოგადოებას. ჯერ კიდევ ხდება, რომ ყალბი იდეალებით დატყვევებულ ახალგაზრდებს გზას ხცდენენ გამოუსწორებელი დამნაშავენი.

ჯანსაღი ატმოსფერო, ფართო საზოგადოებრივი აზრი, ქმედითი შეურიგებლობა ნეგატიური მოვლენებისადმი გახდა უკანასკნელ წლებში დანაშაულობის პროფილაქტიკის ეფექტიანი საშუალება და აქ კომკავშირის საქმიანობის ფართო ასპარეზი, კარდინალური ცვლილებების განხორციელების დიდი პოტენციური შესაძლებლობანი აქვს.

„თვითდამშვიდების უფლება არა გვაქვს, სანამ არის დანაშაულის ჩადენის ფაქტები და სანამ არ არის გამოვლენილი თითოეული დამნაშავე, სანამ არსებობს სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა... ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ეს ბრძოლა, უფრო, გაბედულად, პრინციპულად მივიტანოთ იერიში იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებიც ასე გვაწუხებს". საქართველოს ამასწინანდელი პარტიული აქტივის ტრიბუნიდან წარმოთქმული ეს სიტყვები კომკავშირელებმა მთელი შემდგომი საანგარიშო პერიოდის სახელმძღვანელო პროგრამად აიღეს.

ახლა მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საჭიროება მოითხოვს ყოველი ახალი საქმე ახალგაზრდობაზე მისი პოლიტიკური ზეგავლენის თვალსაზრისით შევაფასოთ. დადებითის მაგალითად მოიყვანეს დრომოჭმული და მავნე ტრადიციების საპირისპიროდ თანამედროვე სახალხო დღესასწაულების ორგანიზაცია. ამ დღესასწაულების პატრიოტულმა და ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ ფართო გამოძახილი პოვა ახალგაზრდობაში. მაგრამ, აღინიშნა ყრილობაზე, ყველა მასობრივი ღონისძიება როდი იძლევა ამგვარ აღმზრდელობით ეფექტს მათი ცუდი ორგანიზაციისა და პრიმიტიული თეატრალობის გამო.

ყრილობაზე წამოაყენეს მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა სპეციალური სამსახურის შექმნის საკითხი, რომელსაც შესაბამისად დააფინანსებენ, მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფენ, მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტებენ. აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო მკაცრად შეარჩიონ კანდიდატურები მოსკოვის კულტურის ინსტიტუტში სასწავლებლად გაგზავნისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად რჩება თავისუფალი დროის სწორი, გონივრული გამოყენების პრობლემა. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. იქმნება დისკოთეკები, კლუბები ინტერესების მიხედვით. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან არ ხერხდება ინერციის დაძლევა. კომკავშირის კონტაქტები, რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, კულტურის, ვაჭრობის სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ჯერ კიდევ არ გვაძლევს საგრძნობ შედეგებს. დღემდე არ არის შექმნილი საიმედო სისტემა, რომელიც დაგვეხმარებოდა ახალგაზრდობის თავისუფალი დროის შინაარსიანი ორგანიზაციის საქმეში.

ამ მხრივ ამოუწურავია ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაძლებლობანი. ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ", — რომელიც რესპუბლიკის კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს თვისებრივად ახალ ამოცანებს უსახავს. იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მათ შემუშავებულ ღონისძიებათა კომპლექსს, ცალკე სჯა-ბაასი გაიმართება კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის საინტერესო სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის დარაზმვას რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირული ორგანიზაციების გარშემო. ყრილობამ მოუწოდა მომავალში შეინარჩუნონ, გაამდიდრონ, უფრო მრავალფეროვანი გახადონ მიღწეული.

ამავე დროს კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა: ყოველმხრივ შეუწყონ ხელი შემოქმედებით ახალგაზრდობასთან და ნორჩ ტალანტებთან მუშაობის სისტემის შემდგომ განვითარებას.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკურ ახალგაზრდულ პრესაში წინა პლანზე წამოიწია და ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა ზნეობის, მორალის, სამართლებრივი აღზრდის საკითხები. მაყურებლებთან და მსმენელებთან უშუალო კონტაქტი, კომკავშირული ცხოვრების საინტერესოდ ასახვა — აი რა ახასიათებს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ახალგაზრდულ გადაცემებს. ნიშანდობლივია, რომ დიდი ყურადღება ეთმობა საბავშვო გადაცემებში მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების პრობლემებს.

ყრილობის დელეგატთა სამუშაო ჯგუფების წინადადებიდან:

დავაწესოთ პროპაგანდისტის ერთიანი დღე კომკავშირული პოლიტსწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემაში;

დავგეგმოთ სალექციო პროპაგანდა ახალგაზრდებს შორის პრობლემურად, რესპუბლიკის რეგიონების სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით;

კომკავშირულმა კომიტეტებმა გააქტიურონ მუშაობა ახალგაზრდა მშობლებთან, ამისთვის გამოიყენონ ლექციები და საუბრები, ლექტორიუმები ქორწინებისა და ოჯახის პრობლემებზე, მშობელთა უნივერსიტეტები, ახალგაზრდა ოჯახების კლუბები;

კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შექმნან კომისიები ახალი ახალგაზრდული რიტუალებისა და სახალხო დღესასწაულების პროპაგანდისა და ორგანიზაციისათვის;

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს მაღალი მთის რაიონებში ზამთრის სახეობათა სპორტის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსი.

გავითვალისწინოთ მომავალი

მომავალი დღეს იწყება. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა როგორც საანგარიშო მოხსენებას, ისე დელეგატების გამოსვლებს. ამ აზრით არის განმსჭვალული არა მარტო ყველა განზრახვა, რომლებსაც მატერიალურად შეესხა ხორცი, არამედ ამ მატერიალურ ღირებულებათა განმგებელი მომავალი ადამიანის აღზრდის პრაქტიკაც.

კომკავშირული ფორუმის მთავარი მონაწილეა ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც სკოლის მერხიდან ცხოვრებაში შედგა ფეხი. და შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ახლა განსაკუთრებით საგნობრივად, კონკრეტულად, გადიდებული ყურადღებითა და მამობრივი ზრუნვით აყენებს წინა პლანზე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს, რაზმავს ამისათვის მთელ საზოგადოებრიობას.

აი, უკვე მესამე წელია რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია ახორციელებს ამ კატეგორიის ახალგაზრდობასთან მუშაობის რადიკალური გაუმჯობესების გრძელვადიან კომპლექსურ პროგრამას. კომკავშირი, განათლების სისტემა, სხვა აღმზრდელობითი ინსტიტუტები არც ერთი კატეგორიის ახალგაზრდობასთან არ მუშაობენ ისე ინტენსიურად, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობასთან. აღმზრდელობითი მუშაობის არც ერთ სხვა უბანზე არ არის დასაქმებული ამდენი კვალიფიციური და პროფესიონალი მუშაკი. სწორედ ამან განაპირობა ყრილობის ესოდენ დიდი ყურადღება თანამედროვე სკოლისა და სასკოლო კომკავშირის პრობლემებისადმი. დადგა დრო ანალიზურ აზროვნებას შეჩვეულ მოსწავლე ახალგაზრდობას ველაპარაკოთ როგორც თანატოლს, განვუმტკიცოთ მას აზრი, რომ თუ სკოლაში, სოფელში, ქალაქში, რესპუბლიკაში ყველაფერი რიგზე არ არის, ამისათვის პასუხისმგებლობა მასაც აკისრია. სწორედ ეს არის პიროვნების აღზრდის მთავარი კრიტერიუმი.

ოჯახური აღზრდის საკითხები ყრილობაზე განიხილეს ორი ასპექტით: ოჯახის როლი ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში და თვით ახალგაზრდა ოჯახის ჩამოყალიბების საკითხები.

დადგა დრო, თქვეს დელეგატებმა, როცა ამ პრობლემების შესახებ კომპეტენტური აზრი უნდა გამოთქვან დემოგრაფებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ექიმებმა, რათა ჩამოაყალიბონ გარკვეული საზოგადოებრივი აზრი. ავიღოთ, მაგალითად, დამოკიდებულება ახალგაზრდა ოჯახში ბავშვების რაოდენობის საკითხისადმი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ასე ფართოდ რომ არ მიმართავდეს სამედიცინო ჩარევას, რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდა არსებული 6 პროცენტიდან 24 პროცენტამდე გაიზრდებოდა. ანუ მარტო ერთი წლის მანძილზე მიაღწევდა დონეს, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მივაღწიოთ.

კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არ შეანელოს ყურადღება და ზრუნვა თითოეული ახლადშექმნილი ოჯახისათვის, ხელი შეუწყოს მის განმტკიცებას. „ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია" — ამ ცნობილი მარქსისტულ-ლენინური დებულებისათვის დამახასიათებელი სერიოზულობით უნდა ეწეოდნენ კომკავშირული ორგანიზაციები მუშაობას ახალგაზრდა ოჯახებთან, ამასთან განსაკუთრებით ზრუნავდნენ რესპუბლიკის მომავლის წინაშე ახალგაზრდა ოჯახების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

მომავალ საანგარიშო პერიოდში, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, საქართველოს კომკავშირის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს განხორციელება პარტიული განაწესისა — „ყოველივე საუკეთესო ბავშვებს!" მოზარდი თაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნამდვილად მამობრივი ზრუნვის შედეგი გახდა ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე თითქმის 100 ერთეულით გაიზარდა საბავშვო პოლიკლინიკების რიცხვი. ამჟამად სკოლამდელ დაწესებულებებში 1972 წელთან შედარებით 30 პროცენტით მეტი ბავშვია. ერთისამად გაიზარდა ნორჩი ნატურალისტებისა და ტექნიკოსების სადგურების რაოდენობა, ერთიხუთად — ბავშვთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი. მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ხუთჯერ გაიზარდა პიონერთა ბანაკების, შრომისა და დასვენების ბანაკების რაოდენობა, 200 ათასამდე გაიდიდა აქ დამსვენებელი ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი.

პიონერულ მუშაკთა აქტივის გასული შემოდგომის რესპუბლიკურმა კრებამ დასაბამი მისცა საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში ახალ ეტაპს, რაც მთელი მისი აღმზრდელობითი მუშაობის ეპიცენტრის ბავშვებზე გადატანას გულისხმობს. ამ კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ანალიზი გააცნეს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს. ყრილობაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მათ უმრავლესობას პრინციპული პარტიული შეფასება მიეცა. ამავე დროს, მსუბუქი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში, დოსაფის ცენტრალურ კომიტეტში ფორმალურად მოეკიდნენ მათ წინაშე დასმულ საკითხებს. სერიოზული საყვედური გამოითქვა კომკავშირის ყვარლის, ბოგდანოვკის, ბოლნისის რაიკომების მიმართ, რომლებსაც აქტივის კრებაზე სერიოზული კრიტიკის შემდეგაც კი სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ.

მოზარდი თაობისათვის ლენინური ზრუნვის ატმოსფეროში განუზომლად მაღლდება კომკავშირის პასუხისმგებლობა ბავშვებთან, პიონერებთან მუშაობაში. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კონკრეტული წვლილი უნდა შეიტანოს მოზარდ თაობასთან მუშაობის ორგანიზაციულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებათა გეგმის შემუშავებაში, რომელიც ამჟამად მზადდება და მას მალე განიხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

რესპუბლიკურმა კრებებმა, აქტივებმა უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად აამაღლეს კომკავშირული მუშაობის ეფექტიანობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრებების ჩატარების პრაქტიკა, რომელმაც მკაფიოდ მონიშნა სტუდენტ ახალგაზრდობასთან და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მუშაობის ვრცელი პროგრამა მისი სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მთელი ამ მუშაობის მიზანი უნდა იყოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის, ღირსეული მოქალაქის, აქტიური პოლიტიკური მებრძოლის აღზრდა.

ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციას, რაც, უეჭველია, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. კარგად დაწყებული საქმის რეალურ რეზერვად დელეგატებმა დაასახელეს საწარმოების, დაწესებულებების უმდიდრეს შესაძლებლობათა, გამოცდილი სპეციალისტების შემოქმედებითი პოტენციალის ფართოდ გამოყენებაც. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კონკრეტულ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ამ თვალსაზრისით დიდი სარგებლობა შეიძლება მოგვიტანოს იმან, თუ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან შეიქმნება სამეცნიერო კლუბები და სხვადასხვა პროფილის სტუდენტური გაერთიანებანი, რომლებსაც თვალსაჩინო მეცნიერები ჩაუდგებიან სათავეში.

მთლიანად საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მოქალაქეობრიობის ჩანერგვა მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან განუყოფლად. ამის მაგალითია 130 მილიონი მანეთის სამუშაოები, რომლებიც ოთხი შრომითი ზაფხულის მანძილზე შეასრულა 60 ათასმა სტუდენტმა და ტექნიკუმების მოსწავლემ; დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ჯგუფის ინიციატივა, რომლებიც სამუშაოდ გაემგზავრნენ მოსახლეობის აქტიური მიგრაციის მთიან რაიონებში, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კოლექტივებს გადაძახილი, სტუდენტთა აქტივის კრებაზე რომ დაიწყო და მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს, რომელიც იმართება დევიზით „იყავ სსრ კავშირის ღირსეული მოქალაქე!".

სტუდენტი-სპეციალისტი, სტუდენტი-მოქალაქე, სტუდენტი-პოლიტიკური მებრძოლი სამი ერთარსი ცნებაა, რომელიც სტუდენტობას განსაზღვრავს როგორც რესპუბლიკის ახალგაზრდობის „ოქროს ფონდს".

რაც უფრო სერიოზულია სჯა-ბაასი დღევანდელობის შესახებ, მით უფრო გულმოდგინეა მომავლისაკენ მზერა. ახლა, როცა საბჭოთა საქართველო, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, ცხოვრობს ჩვენი დიადი სამშობლოს 60 წლის თავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ატმოსფეროში, როცა ასე ძალუმად იგრძნობა რესპუბლიკის ყოველდღიურ ცხოვრებაში აგრეთვე მეორე სახელოვანი იუბილეს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის დღესასწაულის სუნთქვა, პატრიოტული აღზრდის თემა განსაკუთრებული ძალით გაისმა ყრილობაზე.

„ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!" — ამაყად თქვა ვ. ი. ლენინმა საბჭოთა სახელმწიფოს გარიჟრაჟზე. ეს სიტყვები დღესაც მეტად ძვირფასი და ახლობელია თითოეულისათვის. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აღზრდილ საქართველოს ახალგაზრდობას კარგად ესმის, რომ პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის წოდებას წმინდად უნდა უფრთხილდებოდეს და საქმით განამტკიცებდეს. ეს მთელი დამაჯერებლობით ცხადყო ყრილობამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 40-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები.

მეგობრობის ტრადიციები მუდამ წმიდათაწმიდა იყო საქართველოს ახალგაზრდობისათვის. ათ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს დღესასწაულს წითელ ხიდთან, რომელიც ყოველწლიურად აქ კრებს ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა მეგობრობის ახალგაზრდულმა დღესასწაულმაც ჰალარა რუხის კედლებთან.

ჩვენი ამოცანა ის არის, აღნიშნეს დელეგატებმა, რომ კიდევ უფრო გავაღრმავოთ მეგობრობა მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდობასთან, უკეთ გავიცნოთ მათი ისტორია, კულტურა, ეროვნული ტრადიციები და, რა თქმა უნდა, დღევანდელი ცხოვრება. ასეთ შესაძლებლობას გვაძლევს საქმიანი კონტაქტები, რომლებიც დამყარდა მოსკოვისა და საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერებს შორის, საქართველოსა და უკრაინის შემოქმედებითი ახალგაზრდობის შეხვედრები...

სულ უფრო ფართოვდება საქართველოს კომკავშირის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის პროგრესულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ყრილობას ესწრებიან იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სლოვენიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის [illegible] მხარის მუშა ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენლები. ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა მისალმებანი დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ყველა პროგრესული ახალგაზრდული ორგანიზაციისადმი.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან ინიციატივებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაზე აღზრდილი საქართველოს კომკავშირი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, გულდაჯერებით შეჰყურებს მომავალს. ყრილობის დელეგატებმა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას აღუთქვეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ეს მომავალი კიდევ უფრო ბედნიერი გახადონ.

ყრილობის დელეგატთა სამუშაო ჯგუფების წინადადებიდან:

გავრცელდეს ახალგაზრდობის მორალურ-პოლიტიკური წრთობის ისეთი ფორმა, როგორიც არის საკავშირო პატრიოტული კლუბების „მცირე მიწის", „პრომეთეს", „ყამირის" მუშაობა;

უფრო ფართოდ დაინერგოს საქართველოს სს რესპუბლიკისა და მოკავშირე რესპუბლიკების შემოქმედებითი ახალგაზრდობის დღეების, ფესტივალების გამართვა;

რესპუბლიკის დიდ ქალაქებში შეიქმნას ახალგაზრდული პრობლემების შესწავლის სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის ფილიალები;

პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან შეიქმნას ახალგაზრდა მშობელთა რესპუბლიკური კლუბი;

მოეწყოს სკოლამდელი დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერება დევიზით „ლოზუნგი — ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს! — მოქმედებს".

კომკავშირული ფორუმის ტრიბუნა:

წინადადებები, რჩევა-დარიგებანი, აზრები

ჯ. მარგველიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— უშრეტია ახალგაზრდობის ენერგია, უსაზღვროა მისი ოცნებები და მისწრაფებები. და ეს ძალა სწორად უნდა წარვმართოთ: ენერგიას უნდა ვიყენებდეთ, ოცნებებს — ვახორციელებდეთ. აი ამის გაკეთება უნდა შეეძლოს კომკავშირულ ორგანიზაციას. მაშინ იწამებს მის ძალას ახალგაზრდობა. დედაქალაქის კომკავშირი ცდილობს სწორედ ამ კალაპოტით წარმართოს თავისი მუშაობა, და არა მარტო მოწოდებებით, არამედ საქმეებითაც.

ბ. ტყეშელიაძე, ქალაქ ქუთაისის №4 სამშენებლო ტრესტის ბრიგადირი:

— ხუთწლედის დამლევამდე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის 72 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს. ვალდებულებათა წარმატებული შესრულებისათვის, ჩვენ კი გადავწყვიტეთ ყოველდღიურად 2,5 ათასი მანეთის სამუშაოს შესრულება, საჭიროა მშენებელთა რიგების გაზრდა. მაღალი ტრიბუნიდან მოვუწოდებთ მომავალ კოლეგებს: ნუ შეუშინდებით სიძნელეებს, მოდით ჩვენთან სამუშაოდ. მშენებლის პროფესია საპატიო, გულადი ადამიანების, მომავლის პროფესიაა.

ს. ბალაფში, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— ჩვენ უაღრესად გვჭირდება დღეს ნაწარმოებები ჩვენს ახალგაზრდა თანამედროვეზე, მისი მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების გზებზე. გვჭირდება ღრმად იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც შეეძლებათ ახალგაზრდა ადამიანებისათვის მკაფიო კლასობრივი პოზიციის, ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვაში მებრძოლი სულისკვეთების ჩანერგვა. ამ საქმეში აქტიურობის დონე მთელი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

რ. დარჩია, ლანჩხუთის რაიონის გვიმბალაურის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი:

— ქართული ჩაის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში რა კონკრეტული ღონისძიებების შემოთავაზება შეგვიძლია ჩვენ, ახალგაზრდა მეჩაიეებს? ჩვენ გვაწუხებს, რომ ჩაის საკრეფი მანქანები ჯერჯერობით დაბალი ხარისხისაა, არ გვყოფნის მათი სათადარიგო ნაწილები. ჩვენში, ლანჩხუთში მოძველდა ჩაის ფაბრიკების მოწყობილობა. ფაბრიკების ნაწილობრივი რეკონსტრუქცია არ გვაძლევს მთელი ნედლეულის გადამუშავების საშუალებას. მაგალითად, წლეულს, ვიბრძვით სახელმწიფოსათვის 27 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ჩასაბარებლად. უნდა დაჩქარდეს ახალი ფაბრიკების მშენებლობა.

რ. ბერიძე, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— შრომატევადია მიწათმოქმედის მუშაობა, მეტადრე მთის სოფლებში. მექანიზაციის ფართოდ დანერგვა მის შრომას უფრო საინტერესოს, შინაარსიანს, შემოქმედებითს გახდიდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მივმართავთ — მეტი ყურადღება დაუთმეთ სამთო მექანიზაციის განვითარების პრობლემებს.

(დასასრული მე-3 გვ.-ზე).

რესპუბლიკის კომკავშირელთა ფორუმის სხდომათა დარბაზში. მ. დათიკაშვილის და ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დრო ასახელებს მიღწევათა მისამართებს

(დასასრული)

ფ. რაზმაძე, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მუშა:

— მამაჩემმა უერთგულა უფროსი თაობების ტრადიციებს და მაღაროში დაიწყო მუშაობა. მას მიბაძა ჩემმა ორმა უფროსმა ძმამ, შემდეგ კი მეც. ჩვენს საუკუნოვან ქალაქში ბევრია ასეთი ოჯახი. ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შავი მეტალურგიის განვითარებისათვის მაღალხარისხოვანი მანგანუმის მადნის მოპოვებას. ახალგაზრდა მაღაროელები დამკვრელური შემოქმედებითი შრომით შეიტანენ თავიანთ წვლილს მეთერთმეტე ხუთწლედის შესრულებაში.

ა. ბითიევი, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— ოლქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ახალი ობიექტების მშენებლობა მაღაროელთა დაბა კვაისში. ვითვალისწინებთ რა მშენებლობის მასშტაბურობას, მის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, გთხოვთ განიხილოთ ამ ... კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი:

— შრომის ბრიგადული ფორმის ორგანიზაციას დღეს დიდი ყურადღება ეთმობა. ჩვენს ქარხანაში, მაგალითად, ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობს 46 კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, რომელთა წევრები გამოცდილი კადრის მუშების ხელმძღვანელობით თავიანთ მუშურ უნივერსიტეტებს გადიან. როგორც დამრიგებელს, საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა, რომ შრომის ეს ფორმა ხელს უწყობს ახალგაზრდობის უკეთ აღზრდას. სასურველია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები მეტ აქტიურობას იჩენდნენ ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის მის გავრცელებაში.

მ. კენჭაძე, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— ახალგაზრდა თაობის ძალების გაერთიანება კომუნისტურ მშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის ბევრად არის დაკავშირებული კომკავშირული ორგანიზაციებისად- ...

...

ლაპარაკობენ ყრილობის სტუმრები:

ს. პავლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე:

— დიდი პატივია, საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდე. ჩემთვის ეს დიდად სასიხარულოცაა, იმიტომ, რომ ჩემი მუშაობისა და ცხოვრების სულ ცოტა 25 წელი ასე თუ ისე დაკავშირებულია საქართველოს კომკავშირის ბევრი აღზრდილის ცხოვრებასთან და მუშაობასთან. და მინდა მთელი გულწრფელობით ვთქვა, რომ ყოველთვის საქმე მქონდა გულისხმიერ, ალალმართალ ადამიანებთან, რომლებიც მზად არიან დახმარებისათვის, საქმე მქონდა ჩვენი პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილებთან.

მახსენდება 1959 წლის ზაფხული. საბჭოთა დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის მსოფლიო ფესტივალზე მიემგზავრებოდა. ფესტივალი პირველად იმართებოდა კაპიტალისტურ ქვეყანაში და ჩვენთვის ...

...

... ღირსშესანიშნავი მოვლენებით. ესენია საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 60 წლისთავი და სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით მისი დაჯილდოება. ეს ჯილდო მკაფიოდ ...

... კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი:

— გულწრფელად მიხარია და ვამაყობ იმით, რომ ვმონაწილეობ საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის მუშაობაში. სსრ კავშირის ყველა კოსმონავტი ...

... ამხანაგებო, და დიდ პირად ბედნიერებას. დაე მუდმივი მისწრაფვა, უშრეტი ენერგია, საკუთარი ძალების რწმენა ყოფილიყოს მზიური საქართველოს სახელოვანი ახალგაზრდობის ერთგული თანამგზავრი.

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის რეზოლუციიდან:

...

— პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, ფართო საჯაროობა, შედეგების შედარებითობა, დიფერენცირებული მიდგომა შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში;

— განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი და როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომ სრულყოფაში, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში;

— განვავითაროთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებთან სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების კომკავშირულ ორგანიზაციათა თანამეგობრობის გრძელვადიანი კომპლექსური ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა;

— ვილაწოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ახალგაზრდა სპეციალისტების ყოველმხრივი მომზადება, ჩავუნერგოთ სტუდენტებსა და მოსწავლეებს ღრმა კომუნისტური რწმენა, მაღალი მო- ...

...

ყურადღება მშრომელთა წერილებს!

განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში და მის სამსახურებში უკანასკნელ ხანს შემოსულ წერილთა უმეტესობა. ისინი განმსჭვალულია დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით. მათში ნახავთ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, კრიტიკულ შენიშვნებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქალაქი გავხადოთ კიდევ უფრო ლამაზი, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კომუნალური, სატრანსპორტო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მზარდი სულიერი მოთხოვნილებანი.

თვით თბილისელთა შრომის მეოხებით დედაქალაქის ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებში — გლდანსა და ვაზისუბანში, ნუცუბიძის პლატოზე და ვარკეთილში გაჩნდა ახალი სკოლები და ბავშვთა დაწესებულებანი, მყუდრო კაფეები და კინოთეატრები, გაყვანილია წყალსადენის, თბოქსელის ახალი ხაზები, მიწისქვეშა გადასასვლელები, გაშენდა ბაღები და სკვერები.

მშრომელთა წერილებზე მუშაობის კარგ ტრადიციად იქცა „ღია წერილის დღე". მარტო ბოლო ოთხ წელიწადში საცხოვრებელ ადგილებზე მოსახლეობასთან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობის შეხვედრებში ათი ათას კაცზე მეტი მონაწილეობდა. ადგილზე გადაიჭრა ბევრი მტკივნეული საკითხი. მკვეთრად იკლო წერილების ნაკადმა. ამას მოწმობს სტატისტიკა: მარტო შარშან განცხადებათა რაოდენობა ერთიორად შემცირდა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მისმა სამსახურებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მშრომელთა წერილებზე მუშაობა, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია. კონტროლზე აჰყავთ ყველა კოლექტიური და განმეორებითი განცხადება. გაიზარდა იმ განცხადებათა რაოდენობა, რომლებსაც სწავლობენ საქალაქო საბჭოს აპარატის მუშაკები დეპუტატთა მონაწილეობით, ფართოდ ინერგება წარმოების კომპლექსური შემოწმება.

წერილებზე და განცხადებებზე მუშაობის მდგომარეობას სისტემატურად იხილავენ ქალაქის რაიაღმასკომებში.

ყოველივე ეს ითქვა თბილისის სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეათე სესიაზე, რომელიც 1 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ. გ. გაბუნიამ.

მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვასა და გადაჭრაში დადებით ტენდენციებთან ერთად მომხსენებელი და კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, სახავდნენ მათი აღმოფხვრის გზებს.

ჯერ კიდევ ბევრი საჩივარი შემოდის საბინაო საკითხებზე, მათში უმთავრესად ასახულია სერიოზული ნაკლოვანებანი ბინების განაწილებაში, მოყვანილია გათავისუფლებული ბინების განაწილების გაჭიანურების ფაქტები.

სესიამ დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა წერილების შესწავლაში უფრო აქტიურად ჩავაბათ საზოგადოებრივი აქტივი, გავზარდოთ მიკრორაიონების საბჭოების პასუხისმგებლობა, უზრუნველვყოთ ყოველდღიური მკაცრი კონტროლი წერილებისა და განცხადებების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დროული და ხარისხოვანი შესრულებისათვის.

სესიამ მოისმინა ინფორმაცია 1981-1982 წლების გათბობის სეზონის შედეგებისა და 1982-1983 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქალაქო მეურნეობის ობიექტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ თ. პაიჭაძემ.

სესიამ მოისმინა აგრეთვე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. აბდუშელიშვილმა.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი: საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ დამტკიცდა ზ. ლელაშვილი.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი. (საქინფორმი).



მამამთავარი „მერვე სასწაულისა"

ანუ ბალეტმაისტერის პორტრეტი პროლოგითა და ეპილოგით

დღევანდელი ნომრის სტუმარი

[illegible]

თი რამ, რაც, შეიძლება, დღემდე თქვენთვის უცნობიც კი იყოს, ძვირფასო მკითხველო.

* * *

ზიან სამნი დამხვდნენ, ქალბატონი ნინო და დიდი და პატარა ილიკო. დიდი — იუბილარი ოდნავ შეუძლოდ გახლავთ. „გაციებულია, ბატონო, ლოგინშიც არ ჩერდება, არ იცით, ქართლელების სიჯიუტის ამბავი?" (ეს ქალბატონ ნინოს სიტყვებია). პატარა, 6-7 წლის ილიკო ტელევი- [illegible]

შები" როგორ გაყიდე, „კალოშები" — ეღიმება ქალბატონ ნინოს.

— ეს ფოთში იყო. რატომღაც იქ ჩავედი ბედის საძებრად. რამდენიმე დღე ვიყავი, მუშათა ცენტრალური კლუბის დარაჯთან მეძინა, წუღა-მესტებზე „ოზურგეთის კალოშები" მეცვა.

— რატომ ერქვა ოზურგეთისა? — ვეკითხები.

— წვერებიან „კალოშებს" ეძახდნენ ოზურგეთისას, არ ვიცი, რატომ...

— ჰოდა, უკვე ფულიც აღარა მაქვს, ორი დღის მშიერი ვარ, წავიძვრე ეს ჩემი „კალოშები" და გავყიდე ფოთის ბაზარზე, დავრჩი მარტის თოვლ-ჭყაპში წუღა-მესტებით. შევედი ჩაიხანაში და ვზივარ მარტო. ამ დროს ფოთელები შემოვიდნენ, ახალგაზრდები. ასე რომ დამინახეს, დაინტერესდნენ. მეც ვუთხარი, რომ [illegible]

თულს" ყველა „ლეკურს" ეძახდა. უფრო გვიან, როდესაც ანსამბლი შევქმენით, ჩვენ დავარქვით „ქართული".

— ლონდონის ამბები არ დაგავიწყდეს, ილიკო! — ეშველება ქალბატონი ნინო.

[illegible]

გაიცნეს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში.

— მატარებელი იყო ჩვენი ბინა თვეობით, თანაც არა ისეთი კუპირებული და კომფორტული, დღეს რომ არის. ფინეთში გამგზავრება უფრო იმით არის [illegible]

— კი, ბატონო. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილთან წავიკითხე, რომ არსებობდა ცეკვა „სამაია", მაგრამ ვინ ცეკვავდა, ქალი თუ კაცი, ეს არ იყო ცნობილი. ერთხელაც, სვეტიცხოველში, ფრესკები რომ არის ქალების, ულამა- [illegible]

წლის კაცის მიბრუნება გარდასულ დღეებთან, საუბარი ანსამბლზე, ქართული ცეკვის დღევანდელ პრობლემებზე, ზოგი ისე-

— ორ წელიწადს ვიყავი მასთან, შემდეგ, ორი წელიც ასისტენტად ამიყვანა...

— ერთი ის გაიხსენე, „კალო- [illegible]

უკვე ქართულ ოპერებში მე ვასრულებდი სოლო პარტიებს. იმ დროს, რატომღაც, ცეკვა „ქარ- [illegible]

პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ საგასტროლოდ. ეს იყო ფინეთში. მანამდე ანსამბლი უკვე [illegible]

და ა. შ.

— ვიცით, რომ ბევრი ცეკვა თქვენ თვითონ შექმენით...

ჩვენც ეგ გვინდა!

ვ. მარდალეიშვილი.

● ●

ყ ა ზ ა ხ ი

გამარჯვება თბილისში...

გუშინ თბილისის „დინამოს" ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან — მინსკელ თანაგუნდელებთან მოუწია თამაში. თავისთავად ლიდერთან თამაში გარკვეულ პრობლემებს უქმნის ნებისმიერი რანგის გუნდს. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ამ ბოლო წლებში მინსკელები თბილისელთათვის ერთობ ძნელი მეტოქეები არიან, ნათელი გახდება თუ რამდენად პასუხსაგები გახლდათ ჩვენი ფეხბურთელებისათვის განვლილი მატჩი. ამ შეხვედრაში თბილისის „დინამო" მინსკელ თანაკლუბელებზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა, როგორც მოქმედების ტაქტიკური გეგმით, ასევე მისი მახვილგონივრულად გადაწყვეტით და საოცრად დახვეწილი თამაშით. გარდა ამისა, ლიგის „სტანდარდთან" მოახლოებული მატჩის წინ განვლილი შეხვედრა უთუოდ ისეთი გენერალური რეპეტიცია გახლდათ, რომელსაც მათთვის იმედიანი განწყობილება უნდა შეექმნა. ამ მატჩზე დამსწრე „სტანდარდის" ერთ-ერთ მწვრთნელს კი ალბათ თბილისელთა თამაშმა ბევრი საფიქრალი გაუჩინა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველსავე ტაიმში შექმნეს დამაჯერებელი და ლამაზი გამარჯვების ასპროცენტიანი საფუძველი, რომელიც მინსკელთა კარში ოთხი გატანილი გოლით გამოიხატა და რომლებშიც ლომის წილი ყიფიანს ეკუთვნის. თავდაპირველად მყისიერად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში, [illegible] ანგარიში გახსნა (მე-14 წუთზე); შემდეგ გუცაევი „მოცელეს" საჯარიმოში და ყიფიანმა პენალტით გაიტანა ბურთი (29-ე); კუთხურიდან გუცაევის მიერ გათამაშებული ბურთი ყიფიანმა სვლაზე მასვე ჩაუჭრა და გუცაევმა უბრწყინვალესი გოლი გაიტანა (33-ე); საჯარიმო მოედანზე გუცაევი კვლავ „მოცელეს". ყიფიანის 11-მეტრიანი დარტყმა მინსკელთა მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე გაჩნდა ყიფიანი და ანგარიში 4:0-მდე გაზარდა. მასპინძლები მეორე ტაიმშიც საიერიშო მოქმედების ტაქტიკის ერთგულნი დარჩნენ, რამდენჯერმე შექმნეს კიდეც კარის აღების სიტუაცია, მაგრამ ამჯერად მინსკელთა მეკარე კურბიკომ სულ ცოტა ოთხი ნაღდი საგოლე მომენტი განმუხტა. მატჩის მიწურულს მინსკელებმა ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ერთადერთი შენიშვნა: ჩვენი აზრით, დაცვის ხაზში თამაშისას მეტი სიზუსტე გვმართებს.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობა ასეთი იყო: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი (სვანაძე), ცავა, გუცაევი, ყიფიანი, ქვანია (შენგელია).

დუბლიორთა მატჩი მინსკელებმა მოიგეს — 1:0.

ჯ. ენუქიძე.

...ფრე ქუთაისში

ქუთაისის „ტორპედომ" მიიღო ხარკოვის „მეტალისტი". მასპინძლებმა მატჩის დაწყებისთანავე დაიპყრეს მეტოქეთა საჯარიმო მინდორი და ზედიზედ რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს. ერთ-ერთი მათგანი მეგრელაძემ უკვე მეთერთმეტე წუთზე ხარკოველთა კარის აღებით დაამთავრა. მოვლენათა შემდგომი მსვლელობაც იმის იმედს გვისახავდა, რომ ქუთაისელთა შეუნელებელი იერიშები ახალი გოლით დასრულდებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით: სტუმართა იშვიათი კონტრიერიშებიდან ორი და ორივეჯერ კუთხურიდან გათამაშებული ბურთი, ამასთან ორივეჯერ თავური დარტყმით მასპინძელთა კარში აღმოჩნდა. 26-ე წუთზე ეს გააკეთა ბერნიკოვმა, 32-ე წუთზე კი კრამარენკომ. ტერიტორიული უპირატესობა კვლავ ქუთაისელთა მხარეს იყო, მაგრამ გუნდები შესვენებაზე ისე წავიდნენ, რომ ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმში ქუთაისელთა იერიშებმა უფრო მწვავე და უფრო სახიფათო ხასიათი მიიღო. ამის ლოგიკური გამოხატულება კი გახლდათ სწორედ ის წუთი, როცა მეგრელაძემ მარჯვედ გაგზავნა ბურთი მეტოქეთა კარში (72-ე წუთზე). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ქუთაისელთა უპირატესობა უცილობელი იყო და ამიტომაც დასანანია, რომ მათ გამარჯვებით ვერ დაასრულეს ეს შეხვედრა.

„ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამინაშვილი, ქიბა, ჰილაია, მელიქია, გ. მაჩაიძე, კორღალიძე (ბურკაძე), მ. მაჩაიძე, გაბიჩვაძე (ქორდანია), მეგრელაძე, დარჯანია, ა. კვერნაძე.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა — 2:1.

ი. ბერაძე.

სხვა მატჩები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:

„დინამო" (კ)-„ჩერნომორეცი" — 0:0

„ნეფთჩი"-„დნეპრი" — 3:0

„ფახთაქორი"-„შახტიორი" — 2:1

„ყაირათი"-„ყუბანი" — 2:2

„დინამო" (მ)-ცსკა — 0:1

„არარატი"-„ზენიტი" — 2:0

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კ)	3	2	1	0	7-1	5
„ყუბანი"	3	2	1	0	6-3	5
„ფახთაქორი"	3	2	1	0	3-1	5
„დინამო" (თბ)	3	2	0	1	6-4	4
ცსკა	3	2	0	1	2-1	4
„არარატი"	3	2	0	1	3-4	4
„დინამო" (მნ)	3	2	0	1	3-4	4
„ნეფთჩი"	3	1	1	1	4-3	3
„მეტალისტი"	2	1	1	0	3-2	3
„სპარტაკი"	3	1	1	1	2-1	3
„ზენიტი"	3	1	1	1	2-2	3
„ტორპედო" (ქ)	3	0	2	1	3-4	2
„ყაირათი"	3	0	2	1	3-4	2
„შახტიორი"	3	0	2	1	2-3	2
„ტორპედო" (მ)	3	0	2	1	1-3	2
„ჩერნომორეცი"	3	0	1	2	0-2	1
„დნეპრი"	2	0	0	2	0-4	0
„დინამო" (მ)	3	0	0	3	0-4	0

საზაფხულო ფორმის ტანსაცმელზე გადასვლის გამო

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით, თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების, სამხედრო სასწავლებლებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობა 1982 წლის 5 აპრილიდან საზაფხულო ფორმის ტანსაცმელზე გადადის.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრების დღიური

3 აპრილი

საპროტესტო ნოტა

პეკინი. გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ" გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული [illegible]

[illegible]

... რო ტაივანი ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციაა და არა „დამოუკიდებელი სახელმწიფო". ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედება კვალიფიცირებულია დოკუმენტში როგორც „ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ კომუნიკეს და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ნორმების დარღვევა".

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

უშიშროების საბჭოში

დაადეს ვეტო

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოუწოდებს „თავი შეიკავონ ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ უშუალოდ, აშკარად ან ფარულად ძალის გამოყენებისაგან".

ჩაშლით რა რეზოლუციის მიღება, რომელშიც დადასტურებული იყო საერთაშორისო ურთიერთობებში საყოველთაოდ მიღებული ნორმების დაცვის აუცილებლობა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა აშკარად აგრძნობინა მთელ მსოფლიოს, რომ არ აპირებს შემოიფარგლოს რეგიონის იმ სახელმწიფოებზე ზეგავლენის მეთოდების შერჩევაში, რომლებიც უარს ამბობენ დაემორჩილონ ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატს.

უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიეს ნიკარაგუის მოთხოვნით ცენტრალურ ამერიკაში შე- [illegible]

[illegible]

... ების ჯგუფმა, რომელმაც კონგრესის განსახილველად შეიტანეს ერთობლივი რეზოლუციის პროექტი. ეს რეზოლუცია უარყოფს პრინციპულად მთავრობის „პოლიტიკურ ჩარევას" ვაჭრობის დარგში. პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას კონგრესმენმა პ. ფინდლიმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები საკუთარი დამოუკიდებლობით დარწმუნდება რა „სამინელ ფასად" უჯდება მას ეს არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკა.

● აშშ

„სანქციების" კრიტიკა

[illegible]

● ●

უცხოეთის არქივიდან

[illegible] ნახატი გაზეთ „დი ვაარჰაიტიდან" (დასავლეთ ბერლინი).

პინოჩეტის აუქციონი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მკვლელებისა და ტერორისტების იმედით

ვაშინგტონი. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის სალვადორელი ხალხის ბრძოლის ჩახშობად ოფიციალურ ვაშინგტონს პირწავარდნილი მკვლელებისა და ტერორისტების იმედი აქვს.

ამერიკის ქვეყნების საქმეთა დარგში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ტ. ენდერსის თქმით, რეიგანის ადმინისტრაცია ემზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში უახლოეს დროს მიიღოს ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა — თავისი მხეცობით განთქმული „სიკვდილის ესკადრონების" წინამძღოლი და პროფაშისტური პარტიის — ნაციონალისტური რესპუბლიკური კავშირის ლიდერი დობუისონი. ეს გადაწყვეტილება, აღნიშნავს „ვა- [illegible]

ახლა საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ სალვადორში გამართულ „არჩევნების ფარსს", რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი შეერთებული შტატები იყო, ამ ქვეყნის არც ერთი საშინაო-პოლიტიკური პრობლემა არ გადაუწყვეტია. პირიქით, ვითარება სალვადორში კიდევ უფრო გამწვავდა რეაქციულ პარტიებს შორის ძალაუფლებისათვის გაძლიერებული ბრძოლის შედეგად. ულტრამემარჯვენე პარტიები ერთმანეთთან შეკავშირებით და მხედრიონზე დაყრდნობით აპირებენ დაიკავონ ძირითადი თანამდებობანი ახალ მთავრობაში.

როცა არჩევნებს ამზადებდა, ვაშინგტონი ცდილობდა უზრუნველეყო თავისთვის სალვადორში [illegible]

დემოგრაფია

ნიუ-იორკი. [illegible] მარტს 230 მილიონ 778 ათას 787-ს მიაღწია.

კანბერა. ავსტრალიის სტატისტიკური ბიურო იუწყება, რომ ქვეყნის მოსახლეობამ 15 მილიონს მიაღწია. მოსახლეობის წლიური ზრდის ტემპი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საშუალოდ 1,24 პროცენტს შეადგენს. აღწერის მონაცემებით, ავსტრალიაში ქალი 27 ათას 800-ით მეტია მამაკაცზე.

ახალგაზრდული სპექტაკლების ფესტივალი

ხვალ, 5 აპრილს თბილისში იხსნება ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალი, რომელიც ეძღვნება საკავშირო ალკკ XIX ყრილობას. ამის გამო „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების უფროსი ალ. შალუტაშვილი:

— ფესტივალს უმასპინძლებენ მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა რუსული და თოჯინების ქართული თეატრები.

ფესტივალში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკის, მათ შორის მოსკოვის სამხატვრო, მოსკოვის საბჭოს სახელობის, რიგის ი. რაინისის სახელობის, დუშანბეს ა. ლახუტის სახელობის თეატრები, ძირითადად ახალგაზრდული, მო- [illegible]

[illegible] კულტურის სამინისტრო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ხელს შეუწყობს შემოქმედებითი კოლექტივების დაახლოებასა და კონტაქტებს, წარმოაჩენს მიმდინარე თეატრალური პროცესებს და სასცენო ხელოვნების განვითარების პერსპექტივებს.

ტელევიზია

4 აპრილი

მოსკოვი

[illegible]

თბილისი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტრიუმფი „ლა სკალაში", 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავ- [illegible]

[illegible] სათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". მე-13 ფილმი — „1929 წელი", 19.30 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზზე. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — შვეციის ნაკრები. შესვენებისას — 20.50 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ტელეფილმი.

თეატრი

4 აპრილი

[illegible] შვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ახის წლის წინათ (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი (დღისით), მუნჩი (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — ნურც გაგრანდება, ნურც მოგრანდებით; მეტების თეატრი — შვიდკე; კინომსახიობთა თეატრი — საქმე.